პროექტი

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულო

2019 წლის —— ივნისი **ქალაქი ბათუმი**

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა N

ქ. ბათუმში, ზუბალაშვილის ქ. N5-ში არსებულ საცხოვრებელ სახლზე მიხეილ ბეჟანიძის მემორიალური დაფის განთავსების შესახებ

„კულტურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე–19 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და „მონუმენტური სახვითი ხელოვნების ძეგლის (ქანდაკების), ობელისკის, მემორიალური დაფისა და სხვა მემორიალური ობიექტის განთავსების წესის დამტკიცების შესახებ“ თვითმმართველი ქალაქი ბათუმის საკრებულოს 2007 წლის 26 აპრილის №5–7 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე–7 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულომ
გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :

1. სახელმწიფო მოღვაწის, საქართველოს ღირსების ორდენის მფლობელის, საპატიო ბათუმელის მიხეილ ბეჟანიძის ხსოვნის უკვდავსაყოფად ქ. ბათუმში, ზუბალაშვილის ქ. N5–ში მდებარე საცხოვრებელ სახლზე განთავსდეს მემორიალური დაფა, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ქალაქგანვითარებისა და ურბანული პოლიტიკის სამსახურთან შეთანხმებული პროექტის (ესკიზის) მიხევით.
2. ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიამ განკარგულების შესრულების მიზნით განახორციელოს შესაბამისი ორგანიზაციულ-სამართლებრივი ღონისძიებები.
3. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე **სულიკო თებიძე**

განმარტებითი ბარათი

პროექტის სახელწოდება და სათაური

„ქ. ბათუმში, ზუბალაშვილის ქ. N5-ში არსებულ საცხოვრებელ სახლზე მიხეილ ბეჟანიძის მემორიალური დაფის განთავსების თაობაზე“ ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

ა) ზოგადი ინფორმაცია პროექტის შესახებ

ა.ა) პროექტის ძირითადი არსი:

სახელმწიფო მოღვაწე, საქართველოს ღირსების ორდენის, 28 მედლისა და უამრავი საპატიო სიგელის მფლობელი, ბათუმისა და ქობულეთის საპატიო მოქალაქე, ბატონი მიხეილ ბეჟანიძე დაიბადა ქობულეთის რაიონის სოფელ ხუცუბანში. 1947 წელს დაამთავრა მწვანე კონცხის ჩაისა და სუბტროპიკულ კულტურათა ტექნიკუმი. 1949 წელს სწავლა განაგრძო ოდესის საკრედიტო-ეკონომიკურ ინსტიტუტში, რომლის დამთავრების შემდეგ მუშაობა დაიწყო ქობულეთის სახელმწიფო ბანკში ინსპექტორ-ეკონომისტად. 1953 წელს დაინიშნა შუახევის სახელმწიფო ბანკის მმართველად. 1959 წელს მუშაობა დაიწყო აჭარის შინაგან საქმეთა სამინისტროში, სხვადასხვა ხელმძღვანელ თანამდებობებზე, მათ შორის 13 წელი აჭარის შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილედ და 4 წელი მინისტრად. არჩეული იყო აჭარის უმაღლესი საბჭოს დეპუტატად. 1977 წელს დაუსწრებლად დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი. 1989 წელს უმაღლესი საბჭოს დადგენილებით მიენიჭა გენერალ-მაიორის წოდება

ა.ბ) პროექტის ძირითადი არსი:

წარმოდგენილი პროექტი ითვალისწინებს ქ. ბათუმში, ზუბალაშვილის ქ. N5–ში მდებარე საცხოვრებელ სახლზე განთავსდეს მიხეილ ბეჟანიძის სახელობის მემორიალური დაფა.

ბ) პროექტის ფინანსური დასაბუთება

ბ.ა)პროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:

თვითმმართველი ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია

ბ.ბ) პროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო და ხარჯვით ნაწილზე:

გავლენას ახდენს ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე.

ბ.გ) პროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება პროექტის მოქმედება:

წარმოდგენილ პროექტს კონკრეტული ფინანსური შედეგი გააჩნია.

გ) პროექტის შესაბამისობა უპირატესი იურიდიული ძალის მქონე ნორმატიულ აქტებთან

პროექტის შესაბამისობა უპირატესი იურიდიული ძალის მქონე ნორმატიულ აქტებთან:

პროექტი მთლიანად შეესაბამება უპირატესი იურიდიული ძალის მქონე ნორმატიულ აქტებს.

დ) პროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები

სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტები, სპეციალისტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს პროექტის შემუშავებაში და მათი შეფასება პროექტის მიმართ (ასეთის არსებობის შემთხვევაში):

პროექტის შემუშავებაში ზემოაღნიშნული სუბიექტები არ მონაწილეობდნენ.

ე) პროექტის ავტორი:

საკრებულოს განათლების, კულტურის, ტურიზმისა და სპორტის საკითხთა კომისია.

ვ) პროექტის ინიციატორი:

დავით ჯიჯავაძე - ა(ა)იპ-აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ომის, შრომისა და სამხედრო ძალების ვეტერანთა გაერთიანება „ომგადახდილი“-ს თავმჯდომარე

ზ) განმარტებითი ბარათის მომზადებაზე უფლებამოსილი პირის თანამდებობა, სახელი, გვარი და ხელმოწერა:

საკრებულოს განათლების, კულტურის, ტურიზმისა და სპორტის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე **ირაკლი პატარიძე**

ა(ა)იპ - აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
ომის, შრომისა და სამხედრო ძალების
ვეტერანთა გაერთიანება
„ომგადახდილი“

6018 ქ. ბათუმი, ივ. ჯავახიშვილის ქ. №70
ს/ კ 245626648

☎ 24-80-50; 597 81 0080;
599 02 89 82

№ 16

28 „ ივლ 2019 წ.

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის

საკრებულოს თავმჯდომარეს

ბატონ სულიკო თებიძეს

ბატონო სულიკო,

მოგმართავთ თხოვნით, სახელმწიფო მოღვაწის, გენერალ-მაიორის, საქართველოს ღირსების ორდენის, 28 მედლისა და უამრავი საპატიო სიგელის მფლობელის, საპატიო ბათუმელის მიხეილ ბეჟანიძის სახელის ხსოვნისა და უკვდავყოფის მიზნით ქალაქ ბათუმში, ზუბალაშვილის ქუჩა N5-ში არსებულ საცხოვრებელ სახლზე განთავსდეს მემორიალური დაფა.

დანართი: 9 (ცხრა) ფურცელი.

პატივისცემით,

ა(ა)იპ - აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის

ომის, შრომისა და სამხედრო ძალების

ვეტერანთა გაერთიანება „ომგადახდილის“

თავმჯდომარე დავით ჯიჯავაძე

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის
საკრებულო
შემავალი № 11/291
„28“ ივლ. 2019

თვითმმართველი ქალაქის -
ბათუმის ნაკრებეულის

2014 წლის 13 თებერვლის № 35
განკარგულების საფუძველზე

მიხეილ ბეჟანიძეს

მიენიჭა

სპეციალური ბათუმელის

წოდება

ქ. ბათუმის მერის
მოვალეობის
მემსრულებელი

ბ. ეროშკევიჩ

ქობულეთის
საპატიო
მოქალაქე
ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო
და გამგეობა სახალხო დღესასწაულის
„ქობულეთობა-2010" ფარგლებში
„ქობულეთის საპატიო მოქალაქის"
წოდებას ანიჭებს
ბატონ მიხეილ ბექანიძეს
ქობულეთის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს
თავმჯდომარე
ნიკო ბერიძე
ქობულეთის
მუნიციპალიტეტის
გამგებელი
გურამ მჭავანაძე
27 ნოემბერი 2010 წელი

ამბრ. ნერიმან რიზას ასულ ჭიჭინაძეს

81

6 აგვისტოს

Чичинадзе Нериман Ризаевне

6 августа 1981

Пролетарии всех стран, соединяйтесь!

ПРЕЗИДИУМ ВЕРХОВНОГО СОВЕТА АДЖАРСКОЙ АССР

Верховного Совета Аджарской АССР

ПОЧЕТНОЕ ЗВАНИЕ ЗАСЛУЖЕННОГО ВРАЧА
АДЖАРСКОЙ АССР

Председатель Президиума Верховного
Совета Аджарской АССР

Секретарь Президиума Верховного
Совета Аджарской АССР

ცნობა

აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1981 წ. „6" „აგვისტოს" გრძანებულებით ამხ. ნგრიძეს ჩამასოდლი ფიქრიანი ძეს შინიშნებული აქვს აჭარის ასსრ დამახუოფვიდლი ეფექტის საპატიო წოდება

აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის კანცელარიის უფროსი

ავტობიოგრაფია

მე, მიხეილ ბილალის ძე ბეჟანიძე დავიბადე ~~1932~~ 1929 წელს ქობულეთის რაიონის სოფელ ხუცუბანში. დაწყებითი განათლება მივიღე სოფელ გვარას დაწყებით სკოლაში, 1943 წელს სწავლა განვაგრძე მწვანე კონცხის ჩაისა და სუბტროპიკულ კულტურათა ტექნიკუმში, რომელიც დავამთავრე 1947 წელს. გამანაწილებელი კომისიის მიერ გაგზავნილი ვიქენი ქობულეთის რაიონის ჯიხანჯურის საბჭოთა მეურნეობაში უმცროსი აგრონომის თანამდებობაზე.

1949 წელს სწავლა გავაგრძელე ქ. ოდესის საკრედიტო-ეკონომიკურ ინსტიტუტში. ინსტიტუტში სწავლის პერიოდში, 1952 წელს, 3 პროფესორ-მასწავლებლის რეკომენდაციით, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ქ. ოდესის ლენინის რაიონული კომიტეტის ბიუროზე მიმიღეს კომუნისტური პარტიის წევრობის კანდიდატად. ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ, 1953 წელს მუშაობა დავიწყე ქობულეთის სახელმწიფო ბანკში ინსპექტორ-ეკონომისტად.

1953 წელს აჭარის საოლქო კომიტეტის დადგენილებით დავინიშნე შუახევის სახელმწიფო ბანკის მმართველად, სადაც ვიმუშავე 6 წელი. ამ პერიოდში არჩეული ვიყავი კომუნისტური პარტიის შუახევის რაიონული კომიტეტის სარევიზიო კომისიის თავჯდომარედ და სახალხო მოსამართლის შემცვლელად.

1959 წელს, პარტიის საოლქო კომიტეტის დადგენილებით, მუშაობა დავიწყე აჭარის შინაგან საქმეთა სამინისტროში, საერთო ჯამში შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემაში სხვადასხვა ხელმძღვანელ თანამდებობებზე ვიმუშავე 31 წელი, აქედან 13 წელი აჭარის შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილედ და 4 წელი მინისტრად. არჩეული ვიყავი აჭარის უმაღლესი საბჭოს დეპუტატად. 1977 წელს დაუსწრებლად დავამთავრე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი.

ვიყავი არჩეული საბჭოთა კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროს საბჭოს წევრად. 1989 წელს საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭოს დადგენილებით მომენიჭა გენერალ-მაიორის წოდება.

პენსიაზე გავედი 1991 წელს. მუშაობის პერიოდში მიღებული მაქვს 28 მედალი, საპატიო სიგელები, საბჭოთა კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროს ორი სამკერდე ნიშანი, საქართველოს ღირსების ორდენი.

ვარ ქობულეთის საპატიო მოქალაქე.

მყავს ორი შვილი, შვიდი შვილიშვილი და 3 შვილთაშვილი.

ვცხოვრობ ქ. ბათუმში, ზუბალაშვილის ქუჩა, №5- ში.

აი ასეთია ჩემი ცხოვრების განვლილი გზა, მე ვამაყობ ჩემს მიერ გავლილი გზით.

/მიხეილ ბეჟანიძე/

21.01. 2014 წელი

ГЕНЕРАЛ-МАЙОРУ МИЛИЦИИ

товарищу

Б Е Ж А Н И Д З Е

Михаилу Билаловичу

Уважаемый Михаил Билалович!

Коллегия Министерства внутренних дел СССР поздравляет Вас с присвоением специального звания генерал-майора милиции и выражает твердую уверенность, что Вы оправдаете это высокое звание, доверие партии и правительства.

Желаем Вам дальнейших успехов в Вашей ответственной и почетной службе на благо нашей великой Родины, крепкого здоровья и личного счастья.

Министр внутренних дел СССР
генерал-лейтенант *В. БАКАТИН*

СОВЕТ МИНИСТРОВ СССР

ПОСТАНОВЛЕНИЕ

от I ноября 1989 г. № 912

Москва, Кремль

О присвоении специальных и воинского званий генералов руководящему составу органов и внутренних войск Министерства внутренних дел СССР

Совет Министров СССР ПОСТАНОВЛЯЕТ:

Присвоить нижепоименованным лицам звания:

специальное звание генерал-лейтенанта внутренней службы

Тибару Марко Оскаровичу

специальное звание генерал-лейтенанта милиции

Каро Игорю Сигизмундовичу

воинское звание генерал-майора

Камалову Вячеславу Мухтаровичу

Крылову Вячеславу Викторовичу

Муравьеву Леониду Васильевичу

Юхно Николаю Филипповичу

специальное звание генерал-майора внутренней службы

Воронину Владимиру Николаевичу

Хмельницкому Казимиру Владимировичу

специальное звание генерал-майора милиции

Абдуллаеву Рустаму Худайбергеновичу

Абдуразакову Магомеду Гитиновичу

Бежанидзе Михаилу Билаловичу

Быстрову Анатолию Федоровичу

Дихтярю Анатолию Григорьевичу

Ключнику Василию Тимофеевичу

Кожевникову Игорю Николаевичу

Костецкому Михаилу Степановичу

Криворучко Николаю Борисовичу

Кутушеву Валерию Геннадьевичу

Николаеву Николаю Ивановичу

Шаршенбаеву Жоломану

Шишкину Вадиму Алексеевичу

Председатель
Совета Министров СССР Н.Рыжков

Управляющий Делами
Совета Министров СССР М.Шкабардня

МИНИСТЕРСТВО ВНУТРЕННИХ ДЕЛ СССР

ПРИКАЗ 66

«I» ноября 1989 г. № 273

Москва

Об объявлении постановления
Совета Министров СССР от
I ноября 1989 г. № 912

Объявляется постановление Совета Министров СССР от I ноября 1989 года № 912 "О присвоении специальных и воинского званий генералов руководящему составу органов и внутренних войск Министерства внутренних дел СССР".

Министр
генерал-лейтенант В.Бакатин